მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის მგზამკვლევი

2020 წელი, ნოემბერი

სარჩევი

შესავალი 3

მარნეულის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

ისტორია 4

კლიმატი 4

ტერიტორიული მოწყობა და მოსახლეობა 5

ეკონომიკური საქმიანობა 5

სოფლის მეურნეობა 6

საჯარო დაწესებულებები 7

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 8

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 13

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 15

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2021 წლებში 17

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 19

ბიუჯეტის შემოსულობები 19

ნაშთის ცვლილება 22

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 23

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 26

ინფრასტრუქტურის განვითარება 27

დასუფთავება და გარემოს დაცვა 31

განათლება 33

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 35

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 39

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 43

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2021 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2020 წლის 10 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2020 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2020 წლის ბიუჯეტიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარნეული.

მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია – 935,2 კმ² და ზღვის დონიდან საშუალოდ 420 მ. სიმაღლეზეა. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან, ქ. რუსთავიდან – 48 კმ-ით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებიდან – 30-30 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს. მუნიციპალიტეტის ფართობია 935,2 კმ² ; გზების სიგრძე - 540 კმ. მუნიციპალური დანიშნულების გზის საერთო სიგრძე 220 კმ-ა, ხოლო შიდა საუბნო - 320 კმ.

ისტორია

მარნეულის მუნიციპალიტეტი დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა–მარნეულის, ჭანდარ–სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარვენა მხარეს. დასახლებული პუნქტი იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. მარნეული ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს.

კლიმატი

მარნეულის მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში მდებარეობს და, რელიეფის შესატყვისად, ჰავის ზონალურობა ახასიათებს. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა, ზაფხული ცხელია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა იანვარში 0 –

+0.30-ია, ივლისში – +23.90, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 25-ია, აბსოლუტური მაქსიმალური კი +40. ნალექები – 490-500 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მაისშია, ხოლო მინიმალური – დეკემბერში.

იაღლუჯის მაღლობზე, აგრეთვე, ლოქის ქედსა და ბაბაკირის სერზე ჰავა რამდენადმე განსხვავებულია, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გადადის. დამახასიათებელია მზიანი ამინდების ხანგრძლივობა. მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატი იდეალურია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, იგი პროდუქციის 2-3 სეზონად მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

ტერიტორიული მოწყობა და მოსახლეობა

მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 78 დასახლებაა, 77 სოფელი და 1 ქალაქი (ასევე, მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე სოფელი, რომელიც არ ფიქსირდება დებულებით).
2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 106 454 ადამიანი , აქედან 22 244 ადამიანი ცხოვრობს ქ. მარნეულში, ხოლო დანარჩენი სოფლის ტიპის დასახლებაში.
2014 წლის, მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 104 300 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალეთნიკურია, 2011 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება: აზერბაიჯანელები – 83.1 %, ქართველები – 8,03 %, სომხები – 7, 89 %, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნების მოქალაქეები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19.4% (20 211კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80. 6% (84 089 კაცი) - სოფელად.

ასაკობრივი ჭრილის მიხედვით 0-5 წლამდე მოსახლეობა შეადგენს 12 009 კაცს, 6-17 წლამდე - 22 650 კაცს, 18-59 წლამდე - 84 916 კაცს, 60-64 წლამდე - 6030 კაცს, ხოლო 65 წელს ზევით 11 709 კაცს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19,3% (28 000 კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80,7% (108 803 კაცი) - სოფელად. პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს - 18 534 ადამიანს. სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა - 17 737 მოსწავლე.

მოსახლეობის სიმჭიდროვე - 103 ადამიანი 1 კვ. კმ-ზე.

სოციალურად დაუცველთა რაოდენობა - 2 226 ბენეფიციარი.

მაღალმთიან დასახლებებში მაცხოვრებლების რაოდენობა - 1 841 ადამიანი;

ეკონომიკური საქმიანობა

2004 წლიდან მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ზრდის ტენდენციები, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროს. ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა (50%–ზე მეტი), ვაჭრობა (25%), გადამამუშავებელი მრეწველობა (15%), სხვა დარგებზე (ძირითადად მშენებლობა,

მომსახურება) მოდის ეკონომიკის ხვედრითი წილის 10%. მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 9 151 სამეწარმეო სუბიექტი. ,,საქსტატი“–ს მონაცემით, 2013-2015 წლებში მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა 2,020 საწარმოო სუბიექტი.

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების საერთო რაოდენობა შეადგენს 58 507 ჰა-ს, საიდანაც 31 600 ჰა სახნავია, 1 999 ჰა სათიბი, 1 942 მრავალწლიანი ნარგავი და 22 960 ჰა საძოვარი. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად დარგს, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 50%. საქართველოს ეროვნული სასოფლო–სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იქნა 28 882 სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების საწარმო და მეურნეობა. მათგან 98,8% (28 818) წარმოადგენს ოჯახურ მეურნეობას. აღწერის შედეგების თანახმად, სასოფლო მეურნეობების 37,2% პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო 62,4% – ძირითადად რეალიზაციისათვის.

სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილია 96 საწარმო .

გაშენებული ახალი ხეხილის ბაღი – 8.47 ჰექტარზე კაკლის ბაღი;

2017-2018 წლებში პროექტ ,,დანერგე მომავალი“–ს ფარგლებში გაცემულია 1 588 927 ლარი 43 ბენეფიციარზე;

იაფიანი აგრო კრედიტის ფარგლებში 25 ბენეფიციარი (2017-2018 წლები) –8 115 903 ლარი;

მიკრო და მცირე მეწარმეობის დაფინანსებული პროექტი – მიღებული გრანტით დაფინასებული 16 კოოპერატივი; (139 – ადამიანი);

ფუნქციონირებს 37 ფერმერული მეურნეობა.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 35 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 20 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია და 3 ფრაქცია. კომისიებიდან ესენია: სოციალურ საკითხთა კომისია; ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; სამანდატო-საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია. ფრაქციებიდან: ფრაქცია; ფრაქცია ,,ქართული ოცნება"; ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები" და ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“.

მარნეულის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

მარნეულის მუნიციპალიტეტი მოიცავს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს: ქ.მარნეულის, კაჩაგანის,კასუმლოს,დამია–გეურარხის, ხოჯორნის, წერაქვის, ყულარის, შაუმიანის, შულავერის, ქუთლიარის, კაპანახჩის, ყიზილაჯლოს, ალგეთის, სადახლოს, ოფრეთის, ახკერპის, წერეთელის, თამარისის ადმინისტრაციული ერთეულები.

საჯარო დაწესებულებები

მარნეულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 74 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 18550 მოსწავლე;
- 14 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 2156 ბავშვი;
- 7 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 406 აღსაზრდელი;
- 5 ბიბლიოთეკა;
- 1 სპორტული ცენტრი - 22 სპორტულ ობიუქტზე სპორტის 21 სექციაში ჩართულია 1950 ბავშვი;
- დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 და დაწყებითი სამხატვრო განთლების 1 სკოლა - შესაბამისად 74 და 6 აღსაზრდელი;

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ

მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2019 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 76% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2019 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #3

მუნიციპალიტეტების 2019 წლის ნაერთი შემოსულობების საკუთარი შემოსულობების სტრუქტურა (თანხა მლნ ლარი)



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (42%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გასულ წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები. კერძოდ, 2018 წლის მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან მუნიციპალიტეტების ჯამურმა შემოსავლებმა 828,5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტების

შემოსავალმა შეადგინა - 995,4 მლნ ლარი (20%-იანი ზრდა). 2019 წლის მაჩვენებლების მიხედვით დღგ-დან მიღებული შემოსავლები საკუთარი შემოსულობების თითქმის ნახევარს 49%-ს, ხოლო მთლიანი შემოსულობების 37%-ს შეადგენს.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი რეფორმის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლებიდან, კაპიტალური შემოსავლებიდან და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში) მისაღები თანხები.

შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2019 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

გრაფიკი #4



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების

მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

გასულ 2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან. ესენია:

- მეტი აქცენტი კეთდება პრიორიტეტების დოკუმენტის სწორ შემუშავებაზე
- აუცილებელი ხდება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება
- დეტალურად გაიწერა ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა
- დაზუსტდა ბიუჯეტის თანმდევი დოკუმენტები და მათი შედგენის ფორმატი - პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები, ააიპ-ების ბიუჯეტები
- დაკონკრეტდა და უფრო მკაფიოდ გაიწერა ბიუჯეტის პროექტის მომზადების ფაზები და კალენდარი
- განისაზღვრა პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების შედგენის ფორმები
- ცალკე გამოიყო და დადგინდა მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების გაანგარიშების მეთოდიკა
- განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების სტრუქტურა

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი

კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

გრაფიკი #5

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2021 წლებში

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2010-2021 წლებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება (გრაფიკი #6).

გრაფიკი #6



* 2010-დან 2019 წლის ჩათვლით მოცემულია ფაქტიური, ხოლო 2020 და 2021 წლებში გეგმიური მაჩვენებლები

ბიუჯეტის სიდიდეების განხილვისას კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ სტრანსფერს და საბიუჯეტო ნაშთს. უნდა ვივარაუდოდ, რომ 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფისა და ბიუჯეტში წლის ბოლოს არსებული ნაშთის ასახვის შემდგომ.

ბოლო წლების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამურ მოცულობაში 14%-დან 19%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნარეთ ბიუჯეტში მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი უმნიშვნელოა და იგი მისი მოცულობა 0,2%-ის ფარგლებშია.

2010-დან 2021-წლმადე პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 17,9 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროცენტულ მაჩვენებლებში 153%-ია (2011 წელს 11,7 მლნ და 2020 წელს 29,6 მლნ ლარი). ჯამში 2011-დან 2020 წლის ჩათვლით მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია 242,2 მლნ ლარი ხარჯი, რაც საშუალოდ წელიწადში 24,2 მლნ ლარია.

მარნეულის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) ყოველწლიურმა საშუალო ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეადგინა 15% (გრაფიკი #7), რაც 8%-ით მეტია საქართველოს მუნიციპალიტეტების საშუალო ჯამურ მაჩვენებელზე (7%), ხოლო ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჯამურ მაჩვენებელზე (16%) 1%-ით ნაკლები.

გრაფიკი #7



მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2019-2021 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8



მარნეულის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფილი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2021 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული 2 წლის მაჩვენებელს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება

მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #9

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტი, შემოსულობების წყაროების მიხედვით



გრაფიკი #10

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში



საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 12,4 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 18,4 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 52,4% შეადგინა. წინა წლებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #11-ზე წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეჯტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #11



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლების მარნეულის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 25,4% (7,521.2 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 0,9% (322.0 ათასი ლარი). მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

გრაფიკი #12



ნაშთის ცვლილება

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გრაფიკი #13



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები განსაზღვრულია 16,5 მლნ ლარით (გრაფიკი #14).

გრაფიკი #14



გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2019-2021 წლებში მარნეულის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2019-2021 წლები).

გრაფიკი #15



გრაფიკი #16



გრაფიკი #17



2021 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარებში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6,576.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	11,690.7
დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,267.1
განათლება	3,247.9
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4,002.0
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,820.0
სულ ასიგნებები	**29,603.6**

გრაფიკი #18



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალი პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 6,575.9 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 22,2%-ს შეადგენს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



2021 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება

ათასი ლარი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**6,575.9**
საკრებულო	1,454.0
მერია	4,660.6
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	215.6
სარეზერვო ფონდი	150.0
ვალდებულებების მომსახურება (მ.გ.ფ.)	92.7
დავალიანებების დაფარვა	3.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



ინფრასტრუქტურის განვითარება

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 39% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 11,691.8 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21



2021 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

ათასი ლარი

	სულ	**საკუთარი სახსრები**	**სახელმწიფო ფონდები**
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,605,1	2,605,1	0.0
წყლის სისტემების განვითარება	4,993.3	4,993.3	0.0
გარე განათება	1,454.7	1,454.7	0.0
მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1,310.0	1,310.0	
კეთილმოწყობა	701.5	701.5	
სარეზერვო ინვესტიციები	626.0	626.0	
სულ	**11,690,7**	11,690,7	

<u>გრაფიკი #22</u>



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს 540 კვ. კმ . საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 50 პროცენტი, მუნიციპალიტეი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთიანი მოცულობის 20 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბლიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დახაზვა, შუქნიშნების მონტაჟი და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობა. პროგრამა შედგება შემდეგი 2 ქვეპროგრამისგან:

- ✓ გზების მიმდინარე შეკეთება
- ✓ გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია

<u>წყლის სისტემების განვითარება</u> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება 11258 აბონენტს, დარჩენილი მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულოების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და კანალიზაციის სისტემა რადგან დღეის მდგომარეობით იგი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი და მოამტებული ნალექის შემთხვევაში მის გატარებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ✓ სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია;
- ✓ სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ✓ საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვა;
- ✓ სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია.

<u>გარე განათების პროგრამა</u> - დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვისაუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს 11654 ბოძს, ამდენივე სანათს. არსებული მდგომარეობით მუნიციპალიტეტში გარე განათების სერვისი მიეწოდება მოსახლეობის 75 პროცენტს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: გარე განათების წერტების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; დასახლებული პუნქტების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. პროგრამა შედგება 3 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- ✓ გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;
- ✓ გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;
- ✓ გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა.

<u>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება და არსებული ავტოპარკის განახლება. პროგრამა შედგება შემდეგი 2 ქვეპროგრამისგან:

- ✓ მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება;
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება;

<u>უნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება</u> - არსებულ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ავტოპარკის ბალანსზე არის 21 სატრანსპორტო საშუალება (მ.შ. 17 ავტობუსი და 4 მიკროავტობუსი). ამჟამად შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი" 19 მარშუტზე ემსახურება 45 სოფელს. წლის განმავლობაში გადავანილ მგზავრთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ1 160 000 მგზავრს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება.

<u>მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის განახლება, 2021 წლისათვის დაგეგმილია 3 სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა რომელიც როგორც შეცვლის ამორტიზებულ

საშუალებებს ასევე მოხდება დამატებითი მარშუტის შექმნა საზოგადოებრივი სატრანსპორტო სერვისის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტში.

<u>კეთილმოწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისსამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა დაპარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია დააგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვისფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. პროგრამა შედგება შემდეგი 4 ქვეპროგრამისგან:

- ✓ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია;
- ✓ შენობების ფასადების რეაბილიტაცია;
- ✓ სადღესასწაულო ღონისძიებები;
- ✓ სარიტუალო ღონისძიებები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 8% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2,267.1 ათას ლარს შეადგენს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგელებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

<u>გრაფიკი #23</u>



გრაფიკი #24



<u>დასუფთავება და ნარჩენების მართვა პროგრამის</u> განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დღეს არსებული სიტუაციით სულ მუნიციპალიტეტში სუფთავდება 170713 კვმ ფართობი, დასუფთავების

სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის მოცვისთვის საჭიროა დამატებითი ურნების და ნაგვის მანქანებების შესყიდვა. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

- ✓ მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა
- ✓ ნარჩენების გადამუშავება
- ✓ გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები

<u>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. ხეების გადაბელვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი.

<u>კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში</u> - პროგრამა გულისხმობს ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენას, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება როგორც ნარჩენების ურნების განაწილებით ასევე ნარჩენების გამოტანა მოხდეს დროულად და შესაბამისი ინტენსივობით.

განათლება

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 3,246.8 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #25-ზე. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის (15 ნოემბრის მდგომარეობით) მონაცემები წინა წლებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

<u>გრაფიკი #25</u>



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წელს ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2019-2021 წლებში (ათასი ლარი)

	2019	2020	2021
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,616.6	2,900.0	2,900.0
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	393.8	149.0	275,9
ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2,086.8	2,969.2	72.0
სულ	**5,097.2**	**6,018.2**	**3,247,9**

<u>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების</u> - მუნიციპალიტეტში სულ 3000 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 14 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 2749 ბავშვის სწავლება, მათ შორის 1161 გოგო, 1373 ბიჭი. ხოლო 251 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 საბავშო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკლომადელ დაწესებულებებში დასაქმებულია 350 თანამშრომელი, მათ შორის 68 აღმზრდელი და 68 თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა,

ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

<u>სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია,მშენებლობა</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია აღსაზრდელებისა და მომსახურე პერსონალისათვის კეთილსაიმედო გარემოს შესაქმნელად და ახალი ბაღების მშენებლობა სააღმზრდელო ადგილების დასამატებლად.

<u>ზოგადი განათლების ხელშეწყობა</u> - მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების მოზიდვისათვისხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური დახმარება მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულისმუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თითოეულზე 50 ლარის ოდენობით), ზაფხულის საშვებულებო პერიოდის (ივლისი, აგვისტო) გარდა.

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 4,002.0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 13.5%-ია.

<u>გრაფიკი #26</u>



პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 4 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**ათას ლარში**
სპორტის სფეროს განვითარება	1946.0
კულტურის სფეროს განვითარება	1850.0
ახალგაზრდობის მხარდაჭერა	110.0
ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	96.0
სულ	**4,002.0**

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის სპორტის და კულტურის სფეროების განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამის ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 95%-ია (1,898.0 ათასი ლარი).

გრაფიკი #27

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები



<u>სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა</u> - ქვეპროგრამის მიზანია: სპორტული ფილიალების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. გაერთიანება განაწილებულია 15 ფილიალად, რომელშიც წარმოდგენილია 41 სპორტის სახეობა. ყოველწლიურად თვალშისაცემია სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების შედეგები, რაც ქალაქისათვის, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვან წარმატებებს განაპირობებს.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 1946.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 3 ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები	**ათას ლარში**
სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1390.0
სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	531.0
სპორტული ღონისძიებები	25.0
სულ	**1,946.0**

<u>სპორტის სფეროს განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2020 წლის განმავლობაში პროგრამის

ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1600 სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 1,715.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 4 ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები	**ათას ლარში**
სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1025.0
კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	280.0
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	410.0
კულტურული სფეროს ღონისძიებები	135.0
სულ	**1,715.0**

კულტურის სფეროს განვითარება - მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა – პროგრამის ფარგლებში კალენდარული წლის განმავლობაში დაგეგმილია ორჯერადად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე(აპრილი/სექტემბერი) გამოცხადდება ახალგაზრდული იდეების კონკურსი, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და აქტიური ახაგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად; პროექტების თემატიკა: გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა/ჯანსაღი გარემოს შექმნა, მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარება, ინტეგრაციის ხელშეწყობა, კულტურის პოპულარიზაცია, ადგილობრივი თემის განვითარება; პროექტების შერჩევა: პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობას შეაფასებს სპეციალურად შექმნილი კომისია, საპროექტო კრიტერიუმების მიხედვით; წარმატებული სტუდენტების წახალისების მიზნით, წელიწადში ერთჯერადად, ყოველი წლის დასასრულს, წარმატებულ სტუდენტებს გადაეცემათ მერის ჯილდო 1000 ლარის ოდენობით;ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, მოხდება აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 100

სტუდენტის ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა თვეში 50 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად, აკადემიური სასწავლო წლის(10 თვის) განმავლობაში;

ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა - პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება..

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 1,820.0 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 6,1%-ს შეადგენს.

გრაფიკი #28



2021 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 90% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (1,630.0 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 10% (190.0 ათასი ლარი).

<u>გრაფიკი #29</u>



<u>საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა -</u> ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მარნეულის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „c" ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, COVID-19 ის გავრცელების მართვა და ეპიდზედამხედველობა, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის მარნეულის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 1,630.0 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 3 ქვეპროგრამა:

გრაფიკი #30



ავადმყოფთა სოციალური დაცვა - ქვეპროგრამის ფარგლებში მედიკამენტებით თანადაფინანსება გაეწევა:

- ✓ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0- 120 000 მდე და დევნილებს. თანხა შეადგენს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული თანხის 80% არაუმეტეს 400 ლარისა. გარდა ამისა, ამავე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს დაუფინანსდება მკურნალობა და ამასთანავე

გამოკვლევა ერთჯერადად 200 ლარის ფარგლებში. თანადაფინანსება ხდება წლის განმავლობაში ერთჯერადად.

- ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, სარეიტინგო ქულით 0 დან - 120 000-მდე მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80% -ით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობის.
- ✓ მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ოპერაციით, რეაბილიტაციით, მედიკამენტებით, გამოკვლევით და მკურნალობის გაწევის მიზნით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით კალენდარული წლის განმავლობაში ეტაპობრივად არაუმეტეს 800 ლარისა.
- ✓ ონკოლოგიურ ან/და ლეიკემიით დაავადებულ მოქალაქეებს, დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, მკურნალობის, გამოკვლევის, ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ეტაპობრივად, წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80% -ით არაუმეტეს 1000 ლარის.
- ✓ -გულის ოპერაციული მკურნალობის დაფინანსების მიზნით მოქალაქეებს კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევათ დახმარება წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 800 ლარისა.
- ✓ 0-დან - 120 000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახების ყველა წევრს ოპერაციის დაფინანსების მიზნით, აუნაზღაურდებათ ოპერაციის ღირებულების თანხა საყოველთაო სადაზღვეო დაფინანსების შემდეგ დარჩენილი თანხის (რომელიც უნდა შეადგენდეს 200 ლარს და მეტს) 50%, არაუმეტეს 2000 ლარისა.

<u>ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სოცილაურად მოწყვლადი ოჯახებისთვის გათვალისწინებულია როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარება. დახმარებების მოცულობა და ბენეფიციარების ჩამონათვალი განისაზღვრება საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით.

<u>სარიტუალო მომსახურება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2019-2021 წლების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 110,4 მლნ ლარი. ხარჯების სტრუქტურა, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მოცემულია #31-ზე და #32 გრაფიკებზე:

გრაფიკი #31



გრაფიკი #32



როგორც გრაფიკებიდან ჩანს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 44% (44,5 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით; 27% ანუ 2,9,9 მლნ ლარი დაიხარჯება სუბსიდიების მუხლით და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #31 და #32 გრაფიკებზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #33-ზე.

გრაფიკი #33

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2019-2021 წლებში